

რედაქცია: სოლოლაკე, ბალის
ქუჩაზე, მელიქი შევლის სახლში, № 43
ქანტორას რედაქციის: გლი-
გიშვილის სტამბაში, განვით ქუჩაზე.

ხელის-მონაცემი: მილება კარტო-
რაში. გარეშე მცხოვრილია თვეები: ვ. თე-
მის. ვ. რედაქციის განვით ქუჩაზე.

გაზეთის უასი: მოლება წლე-
სი—8 მან., ნახევარ წლის —4 მან.
და 50 კაპ., ოთხის თვეს —3 მან., ერ-
თის თვეს —1 მან.

ორი თავის ხელის-მონაცემა

„დროება“

1 6 ი ა მ ა დ ა მ ა დ ა
ა მ 1 8 7 7 დ ა მ ა დ ა მ ა დ ა

შიდება თვეილისში, „დროების“. რე-
დაფიცაში (განვით ქუჩაზე, სტ. მელი-
ქიშვილის სტამბაში). სხვა ქალაქებ შე
დროების „აგრძელებთან.“

უასი ორი თავის გაზეთის —2 მან.
ქალაქს გარეშე მცხოვრილია გაზეთი
ამ აღრესით უნდა დაიბარონ: ვ. თე-
მის. ვ. რედაქციის განვით ქუჩაზე.

იალკე ნოვენში

„დროების“

თვეილის გარდა შემდეგ ქალაქებში ის-
ყიდება.

გორგი—რკინის გზის სტანციის მუ-
ჭეტში.

შეთაისში: სეიმინ ჩიქანიდესთან,
ტიპოგრაფიაში, ბულგართან,

გამართულანი—სტანციის ბურჯეტში,
ხაშურში (მიხაილოვში) — ტანციის

ბურჯეტში,
ახალციხე—უფ. ალ. ვარდელოვს
მაღაზიაში.

ტელეგრამები

ბრძოლის ვალიდაბა

(ოფიციალური)

ვერან უასი, 31 ოქტომბერს. იმას გა-

რდა, რომელიც აღრე იყენებ გამოც-

ხადებულნი, ჩვენები და ჭრის ლი არი-
ან: 27 ენკუნისთვეს პრა. ვესელოვსკი;

3 ლეიინბისთვეს პრა. ვისინოვი; ზი-

ვინთან 12 ოქტომბერს ხარუჯი დრა-
კული-ძრიტიკოს; 21 ოქტომბერს უას-

თან შტრაპ. ლინკოვი, პარუჩ. შერგინ.

8 აგუსტის უნდა იმართოს: 2 იანტომბერს

პოდპორუჩ. ლებედევი, მო კვდნენ
და კვრილ იგი საკან: პოლკოვნ.

ვეისტლივი და შტ. კაპ. ვილგანტი.

ვენა, 31 ოქტომბერს. რუსის ჯარებმა
და ჭრის ერთი მო, რომელიც პლევ-

უოველ დღე ირშაბათს გარდა



ცალკე ლომარი ლის უასით

განცხადება: მილება ქართულის,
უსუნის, ხომურული სტერეოგრაფი.

უასი განცხადების დამტკიცებული
ებით ასრულებენ — 1 კ. კ., ასო-ზთაერულით
სტრექონები — 2 კ. კ., ჩვეულებრივის
გაცემით — 3 კ. კ., პატრია — 4 კ. კ.

რედაქციას უზლება აქვს გას-
წილის და შეამოქმლოს დასტეპლათ
გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი
სტატია აეტორს არ დაუბრუნდება.

პარიზი, 31 ოქტომბერს. გარცხენა ხმა-
რებ (რესპუბლიკელებმა) შეიტანა ნაცი-
ონალურ ქადაგში დღეს წინადადება,
რომ პალატამ განიხილოს ის უწესებება
და უკანონო მოქმედება, რომელიც
ჩაიდინა მთავრობამ და სამღვდელოებამ
ამ უკანასკნელ კენკის-ურის დროს. სა-
მინისტროს თავსმჯდომარე გერიცოგი
ბროჭლი თანახმა იყო, რომ ეს წინადა-
დება დაუყოვნებლივ გაეხილა კრებას.
პრემიერმა ხმის უმეტესობით მიიღო წინა-
დადება.

ახალი ჯარები მოსალის მოსაშენებელად
და, მეორეს მხრით, ზამთარით თავისას
იქ.

ვენის გაზეთი „Presse“-ში შემდეგი
დეპეშა დაბეჭდილი 24 ღვიძობისთვეს
თვილისიდამ მიღებული:

„ოლოისიდამ გამოსულმა რუსების
ჯარმა დაიჭირა ის გზა, რომელიც პრ-
ზრუმშის და ბათუმს აერთებს.“

მს გარემოება მით უფრო მომეტებუ-
ლის ყურადღების ფირსია, რომ, რო-
გორც იწერებოდნენ, დერვიშ-ფარა პრ-
ზრუმშის მისაშენებელი თავს კორპუ-
სილში რამდენსამე პოლქებ აგზავნისო.

შეგრამ შეირე მხრით შოპულეთიდამ
მიღებულმა ოფიციალურმა დეპეშა შე-
გვატუბინა, რომ ამ 26 ღვიძობისთვეს
რომ ჩვენებს მუხა-მსტატედამ ხუკ-შან-
თან სროლა უტეხიათ, მაშინ დარწმუნ-
დნენო, რომ ბათუმისაკენ მსამალებს
ჯარები არ შეუმცირებიათ და არტილე-
რიაც (ზარბაზნები) საკმართა აქსით.

მაშასადმე დერვიშ-ფარა ბათუმიდამ
არზრუმში, როგორც ეტყობა, თავის ჯა-
რებს უ აგზავნის.

დევ-ბოინთან ბრძოლის თაობაზე
ინგლისურს გაზეთს „Daily Telegraph“-ში შემდეგი დეპეშა არის დაბეჭდილი,
27 ღვიძობისთვეს პრზრუმიდამ მიღე-
ბული:

„დღეს რუსები, გაცხარებით დაცუნენ
დევ-ბოინთან დაბაზაკებულ მსამალის
ჯარს. ათი საარის განმავალობაში ბრძო-
ლა არ შეწყვეტილა, რამდენჯერმე უკუ-
აქციებ ასმალებმა იქრიშით გისული
ხესის ჯარი. მაგრამ ბრძოლის ქრომი
ნაწილმა რუსის ჯარისამ უკიდამ დაუ-
არა დევ-ბოინს, შუა ჯარს მოწევა მსა-
მალოსას და ამნაირად დამტარებადა იძუ-
ლებული ჰყო, რომ ეს სიმაგრეები მიე-
ტყვებინათ. ამ ბრძოლის დროს, სხვათა
შორის, თვითონ მუხთარუშაშა დაჭირა.“

ვენის ბრძოლის ვალიდაბა

ბუშინდელს „დროებაში“ დაბეჭდილი
მა დეპეშამ გვაცნობა, სტამბოლის სამ-
ხელორ ჩერევის გადაწყვეტილება, რომ
მსამა-ფარა უნდა გამოვიდეს პლევნის
დამარ. ბრძანება ადვილია! შენ შესრუ-

ლეგა სთქვი, და შესრულება იმ დროს, როდესაც შენ 60,000 კაცი გყავს, ვინიცის, იქნება, შემიშლისაგან და ავარ. მიუფლობისაგან დასუსტებული, და გარშემოკი 130,000 ჯარი გახვევია.

რაღა თქმა უნდა, რომ იმისთვის გარემოებაში, რომელშიაც ამ ქამად მსმან-ფაშა იმყოფება, იმან პლენიდამ თავის არმიით გამოსულა მოახერხოს, თურდაც ნახევარი დაკარგოს ამ არმიიდა, მანც დიდ გამარჯვებათ და დიდ საჩდლობათ ჩაეფლება.

ზრანცუზული გაზეთის „Tempt“-ის კორექტონდენტის სიტყვით, რეუტ-ფაშას შიპკოსთან ამ ქამად მხოლოდ 12,000 კაცი ჰყავს და ამ ჯარის ის, რასაკირივე ია, ვერ განიზრახესო, რომ ეს ბალკანის გადასავალი წართვას რესებსო...

საქართველო

დღიური

* * * მუშინ და გუშინწინ თფილისის სასამართლო პალატაში გაარჩიეს ორი საქმე „თფილისის მოამბის“ რედაქტორის ქ. ბებუთოვისა, რომელიც თუ. სასამართლო პალატამ სასამართლოში მისცა მლისაუეტოლის გამომეძიებელის უფ. მჯუბოვის შეურაცხყოფისათვის და მეორეს მხრით თფილისის მლასიკური ზიმნაზის მასწავლებელმა უფ. სტადლინგმა უჩივლა.

პირველ ამ საქმეთაგანის გარჩევის დროს აღმოჩნდა, რომ უფ. მჯუბოვს ერთ დღეს, 1876 წელს, როდესაც ქეიფიან გუნებაზე ყოფილა, ჩეუბი და მუშტი-კრიფი აუტეხია სასტუმროში. მს ამბავი უფ. ლ. კ. შინის აუწერია და „თუ. მოამბეში“ კორექტონდენტია გამოუგზავნია. უფ. მჯუბოვს შეუტყვია—ვინც დასწერა იმაზე ეს კორექტონდენტია და, რაღაც სულ უბრალო მიხეზის გამო, ჯავრის ამოსაკრელად სრულებით უკანონო დაუტუსაღებია უფ. ლ. კ. შინი. მს გარემოებაც დატეჭდილი უყო „თუ. მოამბეში.“

თითქმის ყველა ამ საქმის გარემოებაზე უფ. ბებუთოვმა დამამტკიცებელი ხელ-ნაწერი საბუთები წარმოადგინა სასამართლოში. შ. პრიუტურორმა არ აღიარა მხოლოდ ის გარემოება, რომ უფ. გამომეძიებელს მჯუბოვს შურის-ძიებითა და ჯიბრით ემოქმედნოს და მხოლოდ ჯავრის ამოსაკრელად დატუსაღებინოს უფ. ლ. კ. შინი. მაგრამ „თფილისის მოამბის“ რედაქტორი მანც სრულიად გაამართლეს ამ საქმეში პასუხის გებაზედ.

უფ. ბებუთოვი თვითონ იცვავდა სასამართლოში თავის თავს; მომჩივანის

მხრით, რასაკირველია, პროკურორი იყო (უფ. სმიტტენი).

მეორე საქმე—უფ. სტადლენის საჩივრით დაწყებული—გუშინწინ ვერ გაარჩიეს, რადგან მოწმები არ მოვიდნენ და მეორე დღისთვის გადადეს.

* * * ზაზეთს „თერგის შწებებში“ დაბეჭდილია თერგის მაზრის უფროსის დენ.-აღიუტ. სკოსტუნვის განკარგულება, რომლის ძალითაც ყველა იქ დაყებულ ჯარების სალდათება და მეღუნებებს ალეკრძალებათ, რომ ადგილობრივ მთავრულ მცხოვრებლებს თოვის-წამალი მიჰყიდონ.

* * * მასულს ორშაბათს ჩერნის შალაქის რჩევაში, სხვათა შორის, ასახებზედაც იყო სჯა. შალაქის ბამეგობის წინადადებით, ქალაქმა ისეთი ასახები უნდა დაიჭიროს, რომ ისინი სახლებსაც უყარაულებდნენ და ქუჩებსაც სწმენდნენ. ამ საგანზე სხდომაში გაცხარებული ლაპარაკი ასტყდა; მაგრამ არაფრით გათავებულა და კიდევ შემდეგ ორშაბათის სხდომაზე მოილაპარაკებდნა.

* * * სამეგრელოდამა გვწერენ: ბლალობინი ერთი თავის დიაკვანს სწყალობს. ამისივე საბლალობინოში იმყოფება ერთი მოხუცებული მღვდელი, რომელსაც ის უჩჩევს, რომ სამსახურიდამ დათხოვნის ქალალდი შემოიტანოს. სამი წელიწადი გაკლია კიდევ პენსიონის დამსახურებამდინ და ამისათვის მე სამასი მანეტის ვექსილს მოგცემო.

დაუჯერებია საწყალი მოხუცი და გამოსულა სამსახურიდამ. მაგრამ, ბლალობინის საუბედუროთ, იმ მოხუცის ალაგზე ეპისკოპოსის იმისაგან წარდგენილი დიაკვანი არ მიუღია და სულ სხვა პირი დაუნიშნავს! ბლალობინს, რასაკირველია, ვექსილი აღარ მიუცია..

* * * მეორე შემთხვევას კიდევ უკეთეს გვწერენ იქიდამევ:

ახალ-ხენავის მახლობლად, სოფლის მღვდელის ხარი ვიღაც აზნაურის ყანაში შესულა. აზნაურს დაუჭირავს ხარი და უთქვამს, სანამ ზარალს არ მიზღობ, მანამ არ მოგცემო. მღვდელს ისხლი ყელში მოსდგომია; არც ფულის მიცემა ნდომებია, არც ხარის დაკარგვა. დღე-დაღმე უყარაულებდა თურმე აზნაურის საქანელს, რომ სამაგირო გადაეხადნა.

ბოლოს, ერთ მშევრიერ დღეს, ამ აზნაურის ვიღაც საპატიო სტუმარი მოუკიდა მუთაისიდამ ცხენით. მასპინძელმა ცხენი ეზოში დაუბა და თვითონ თავის სახლში მიიპატიე. დაღამდა თუ არა, მღვდელმა ამოიწია ანაფორა, გადახტა ამ

მეზობელ - აზნაურის ღობეზე, დავლოცხენს ხელი და წამოეცხონა ამბობენ, ახლაც უწევებენ სამუდამო არის ატეხილი.

„დროების“ კორრესპონდენცია

ხოცი, 26 ოქტომბერი. ხოცი არის, ანუ უკეთა ვსთქვათ, იყო ორი შეოლა: ვაჟების, რომელიც ეხლაც არის და ქალების, რომელმანც ლროებით მიისვენა. დროებით-თქო, მოგხესენებთ, მისთვის, რომ ვერ არ ვიცით ნამდილ სამუდამო გაქრა თუ მის მობრუნებას კიდევ ეშველება რამე.

მხოლოდ ეს ვიცით, რომ ქალების შეოლის მასწავლებლებს, რომელნიც იქმომდე დადიოდნენ, არ უკლიათ წასრულის წლის პირველ იანვრიდამ; ამაში ასწავლიდა მხოლოდ ზედამხედველი ქალი 6. ბლალიაშვილისა, რომელმანც როგორც იყო აბორბიკა ეს შეოლა მრთელი ნახევარი წელიწადი, მაგრამ არავინ არც არაითარი შემწეობა მისცა და არც თანაგრძნობა აღმოეჩინა და ამ მიზეზით იძულებული შეიქმნა პირველ ექტენდილისათვის. მხლა ამ შეოლისა-თვის აშენებულ სახლშიდ დგას უ. გამომეძიებელი ხოცისა თავის სახლეულობით, რომლისათვისაც თვეში იხდის თუთხმეტს მანეტს. სხვა უბედურობასთან არც ის ვიცით—ვის მიაქვს ეს ფული? ვისთვის და ან რისთვის?! ბოროტი ენები ანბობენ, ვითომც ამ ფულს მამასახლისი იღებდეს და ხშირათ თავის სუდიებით ქეიფს ეწეოდეს...

საზოგადოება ხმას არ იღებს და არც არავინ სხვა; არ იქნებოდა ურიგო და არც ეხლა იქნება, რომ ვისგანაც ჯერას გამოაცხადოს ამ სასწავლებლის საქმე. თორემ მე კიდევ არ დავიზარებ წერას და როგორც ვიცი და რაც გამიგონია ამ შეოლის საქმე, დევიუკირებ; მაგრამ მაშინ ნურაა უკაცრავად დავრჩები, რომ ვისმე გული დაეწვეს...

საზოგადოება ხმას არ იღებს და არც არავინ სხვა; არ იქნებოდა ურიგო და არც ეხლა იქნება, რომ ვისგანაც ჯერას გამოაცხადოს ამ სასწავლებლის საქმე. თორემ მე კიდევ არ დავიზარებ წერას და როგორც ვიცი და რაც გამიგონია ამ შეოლის საქმე, დევიუკირებ; მაგრამ მაშინ ნურაა უკაცრავად დავრჩები, რომ ვისმე გული დაეწვეს...

მოსავალს ემადლიერებიან აქ, ასე რომ წლიური საჩიონ თითქმის ყველას მოუვიდა. ლეინო არც სხვა დროს მოდიოდა ბევრი, მაგრამ წელს საზედაშეც არავინ მოსევლია.

აქაურ ყაბებს უჩივიან გლეხობა და საჩივარიც აქვთ: მიბრძანდებიან თურმე მახლობელ სოფლებში და ყიდულობენ მანეტიდამ სამ მანეტამდე ჭირიან საქონელს, ჯეკლამენ და ჰერენი.

შითომც კოტათი შექერდა ეს შექერდული სენი, რომელმანც ამოდენი ზარალი მოგვიანება, არ შეგვარჩინა პირუტკუვით, და ამ უფალ ყაბებს თითქო სურთ

მთლიათ აიკლინ, თუ რამ ერთი-ორი საქონელი შერჩა ვისმეს. პირველათაც ამ ყასპებს პძრალიბენ ამ სენის მოქანას და ეხლა კიდევ ერთი-ორი გროვის მოგებისათვის ხალხს ღუპავენ.

არც აქაურ მიკიტებს ემადლიერებიან, რომელიც ფუელაფერს თავისი სურვილით ყიდიან და იმასაც დამპალის და უხეიროს. შეიგება და ბარიშინიებმა ხომ დაგვანელეს. პარასკეობით მცხოვრებლებს არაფელს გეანებებენ. მოგეხსენებათ, აქ პარასკეობით გაჭრობაზე ბევრი ხორავი შემოაქეთ მეზობელ სოფლებიდამ და ეს შეჩვენებულები უხვდებიან გზაზე და არ უშვებენ, თუ რამე ხეირიანი იქმნა. ტაქსა ხომ ხონისათვის არ გაჩენილა....

X

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

სტამბოლიდამ მოსული დეპტა გვატ-ყობინებს, რომ მუხთარისა და იზმაილ-ფაშის ჯარების დევე-ბოინთან დამარცხების ამბავს ძალიან ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია იქ. აღლელვებული ხალხი ქუჩებში დაირებოდა და ხმა-მაღლად აცხადებდნენ მმართებლობაზე და უკმაყოფილებასათ. ამბობენ, ხონთქარი ამ გარემოებას ისეთ ნაირად შეუშინებია, რომ თავის სასახლის წინ ყარაულები მოუმატნია.

— ზაზეთებში იწერებოდნენამას წინათ, ვითომც სტამბოლში აღმოაჩინეს შეთქმულობა, რომელსაც განზრახვა ჰქონდა, რომ გადაყენებული ავათმყოფი ხონთქარი მურად მეტყო დაესვათ ისევ ტახტზე და ახლანდელი სულთანი ჰამილი კი გადაყენებინათ. როგორც სხანს, ეს ამბავი მართალი უნდა იყოს, რადგან გუშინწინ სტამბოლიდამ მოსულმა დეკუმაშ შეგვარყობინა, რომ იმ გადაყენებულ ხონთქარს მურადთან დანიშნული მოსამსახურები (40 კაცი) მთავრობამ დაატუსაღაო.

საფრანგეთი

ახლად - ამორჩეულს ნაციონალურს პრებაში სამი უმთავრესი პარტია (რესპუბლიკებისა, ბონაპარტისტებისა და მონარხისტებისა) ასე არიან განაწილებული:

სულ ამორჩეულია 526 დეპუტატი (უნდა იყოს 533); ამათში რესპუბლიკები არიან — 318, ბონაპარტისტები — 112 და მონარხისტები (ლეგიტიმისტები და ორლეანისტები) — 96. თუ ამას მიუმატებთ კიდევ შვიდი კანდიდატის არჩევას რომელსაც რესპუბლიკები

მოელიან, მაშინ ამ პალატაში იმმათ ეყოლებათ — 325 დეპუტატი; მაშა სადამე რესპუბლიკები პარტია 117 ხმით უმრავლესი იქნება მონარხისულზე, რომელსაც ეყოლება პრებაში სულ 208 მომხრე

ცება, რომ მასწავლებლობაზე ხელი ავიღე და სხვა სამსახურით შეედის, სამომავალი მოსამსახურულ წრთულში აქვთ და შევიწროები ჰქონდეს გლეხებს მითი, რომ მუშაობის დროს უწოდებდნენ მათ საქმისთვის.

მე არავისთვის არ მითხოვნია, რომ ჩემთვის ეთქვას პატიოსანი ხარო და მით უმეტეს თქვენთვის; და არც დამიფარავს სხვისი უპატიოსნება, თუ შემთხვევა მეონია.

თქვენი აღრესი მიბრძანე და მოგართმე ვიმ „დროების“ ნომერს (1874 წ.), რომელშიაც ჩხრეკია-რაჭელის ერთი გრძელი სტატია სათაურით „ვამე ჩემო რაჭა, ჩემო ხბოების ჭაჭაო“ — სულ ძლევებზე არის დაწერილი.

ჩხრეკია-რაჭელი, როგორც თვითონ სწერთ, იცით ვინ არის; მაშ მითხარით ახლა: გქონდათ თუ არა სიმართლე მოგეცათ გელათ შემოთ მოკუნილი შენიშვნა? მე ვმაღლავ სხვის უპატიოსნებას, თუ თქვენ მაღლავ სიმართლეც?

თქვენის აზრით გამოდის — კაცი რაკი გაჩინოვნიკდება, პატიოსნებას ჰქორგავს; ჩემს უპატიოსნობას ერთი იმითი ამატკიცებთ, რომ მასწავლებლობას თავი დავანებე და სასამართლოს პრისტავობას მოვყიდე ხელი. რომ მასწავლებლობა პატიოსანი შრომა არის, ამაზე სრული თანახმა განლავარ; მაგრამ ის კი უნდა გითხრათ, რომ თქვენსას სწერთ და სხვის ნაწერს თვალ-უურს არ ადევნებო. ამწლის აპრილის „დროების“ ნომრები დაებნებო და იქ შეხედებით ერთს სტატიას სოფლის მასწავლებელზე, რომელშიაც არის გამოხატული ხონის შეკლის მდგომარეობა და ის მიზეზიც, რისთვისაც მასწავლებლობაზე ხელი ავიღე, ბოლოშიაც ჩემი ნამდეილი სახელი და გვარი აწერია. ზამეორება ამ მიზეზების საჭირო აღარ არის; ამასთან არ შემიძლიან არ გითხრათ, რომ კაცისთვის არც მარტო მასწავლებლის სახელია საკმაო: თქვენ თუ ზოგოლეთი ბრძანდებით, უსათუოთ გეცილი ნებათ ერთი ცახელი ახალგაზდა მასწავლებლის ამბავი, რომელმაც სამი-ოთხი რაჭელი მამები გააცურა ყინულზე — ფულები დასტუუა და შეილები თანხმად პირობისა კი არ მოუმზადა.

რა ხელობაზედაც უნდა იყენე კაცი, თუ ის პატიოსანია და მშრომელია, ყველგან მოუტანს საზოგადოებას სარგებლობას და აგრეთვე თუ უპატიოსნო და უგნურია, ყველგან მავნებელი იქნება.

თქვენ ამბობთ სამსახურის კაცები გლეხებს აცდენენ: როდესაც სოფლებზე ში დაირებიან, მუშაობის დროს მოხელეებს, დამუასებლებს და სხვებს საქ-

საგარეო

უკანასკნელი სიტყვა უ. გოგოლევოვის

ჩემდა სამწუხაროდ, ოქვენთან, უ. ზოგოლეთელო, ისეთს საგანზე შემხედა ლაპარაკი, რომელიც დაიდი საინტერესო არ უნდა იყოს მკითხველებისთვის; მაგრამ რა გაეწყობა: მე ვალდებული ვარ ბეჭდით მოგცეთ პასუხი იმ უმზგავსო და უსაფუძვლო სიტყვებაზე, რომელიც ვითომც ჩემი შენიშვნის პასუხად იყო დაბეჭდილი „დროების“ №№ 151 და 153.

მწერთ, ვითომც თქვენს კალამს რაღაც აღმაშფოთებელი გავლენა, ჰქონდეს ჩემზე და მიზეზი ამისა ის იყოს, რომ მე მეშინიდეს „რაჭელი კორჩეს-პონდენტის პორტფელის დაკარგვისა.“ მე რომ თქვენმა ნაწერმა აღმაშფოთა, ამას ჰქონდეთ მართალი სწერთ და რომ მიზეზი მხოლოდ თქვენი გამოთქმული აზრების უსაფუძვლობა იყო და არა ის, რასაც თქვენ სწერთ, ამასაც ახლავე დაგიმტკიცებო.

თქვენ გალანძლეთ რაჭის ჩინოვნიკები საზოგადოთ და განსაკუთრებით ისინი, რომელიც ხშირად სამსახურისა გამო სოფლებში დაიარებიან.

რადგანაც რაჭაში ყველა მოსამსახური პირებზე მე უფრო ხშირად მხედლება ხოლმე სიარული, თქვენი ლანძღვა უსათუოთ ჩემი მოქმედებასაც შეეხებოდა და ამისთვის გთხოვეთ იმ საზიზღარი ფაკტების გამოცხადება ჩემს შესახებ. ვგონებ ეს ჩემი თხოვნა არ იყო უსაკუდელო, მით უმტკეს, რომ თქვენ პირ-და-პირ ეხებოდით იმ ჩინოვნიკს, რომელიც ვალების გარდასახლევინებელად გლეხებთან მიღის და გვარი ჩინოვნიკი რაჭაში ჩემს მეტი არავინ წყოფილა ამ უკანასკნელი თორების განმავლობაში.

ნაცელად იმისა, რომ თქვენ ჩემი თხოვნა აღსრულებინათ, თუს ნომერში გაგიჭიანურებიათ პასუხი, საიდგანაც გამოგყავთ: 1, ვითომც მე ვსოფლიდე ჩემს თავს აბსოლუტურად პატიოსან კაცად და მე სიტყვა „პატიოსნება“ არ მესროდეს, თორებ არ დაფიქრავდი ჩემი ამხანაგების (?) საზიზღარს მოქმედებას შესახებ ძლვების მიღებისა; 2, ვათომც ჩემი უპატიოსნება ერთი იმითი შტკიც-

